№ 205

ოთხშაბათი, 28 სექტემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 205

ოთხშაბათი, 28 სექტემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**„ივერია“**
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
**ტფილისი,**
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## დეპეშა

24 სექტემბერი

**პარიზი.** საფრანგეთის სამხედრო ხომალდი „Isly“ ჩინეთის წყლებზედ ორშაბათს გაემგზავრა.

**ლონდონი.** ბრიტანიის სამხედრო გემი „Acolus“ წავიდა ჩინეთის წყლებზედ.

მონგოლიაში ამბოხება მოხდა. პეკინიდგან ჯარებია გაგზავნილი. სამეფო სასახლეში დიდი უთანხმოებაა. ტიან-ძინში მახლობელ ადგილებიდგან მრავალი ევროპიელი მოვიდა. თვით ტიან-ძინში ევროპიელები გამაგრებასა სცდილობენ, თუ ვინიცობაა თავს დაესხა ვინმე. იაპონიის სამხედრო ხომალდები ვეი-ხაი-ვეის ახლომახლო დადიან; ღამ-ღამობით ნაპირებს უახლოვდებიან ხოლმე, გათენებისას-კი კვლავ შუა ზღვაში გადიან. ამ გვარის მოქმედებით ჰსურთ, რომ ჩინელების ფლოტს არტურის ნავთ-სადგურიდგან გამოსვლა დაუშალონ.

2,000 ჯარის კაცი შენდის დევიზიისა, რომელიც ლი-ხ:ნ-ჩანგის კორპუსს ეკუთვნის და ამ ჟამად კორეშია დაბანაკებული, რადგანაც ჯამაგირი არ ეძლევათ, თავისის ჯარიდგან გაიქცნენ და მტერს მიემხრნენ.

ჩინეთის ჯარმა მუკედგენიდგან სრულიად უკან დაიწია. ხმა დადის, ჩინელების ჯარი ამიტომ გაიხმეს, რომ იაპონელების პეჩილის სრუტეში გადმოსვლას ხელი შეუშალონ. იაპონელების 70-მდის სამხედრო და სურსათის ხომალდი სამშაბათს დილით პეჩილის სრუტეში გამოჩნდა, შემდეგ კონცხს ჩეფუდგან დასავლეთისკენ შემოუხვიეს და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გასწიეს.

**მოსკოვი.** დღეს აკურთხეს პეტრეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მიწათ-მოქმედების მინისტრის თანაშემწის თანადასწრებით. მიღებულია 60 მოსწავლე; მათ შორის 18-ს მიღებული აქვს უმაღლესი სწავლა, 32 მიიღეს ეგზამენებით და 10 სამინისტროს ნებართვით.

**ბელგრადი.** მთავრობამ ხელი მოაწერა პირობას, რომლის ძალითაც შავის ზღვისა და დუნაის ნავოსნობის საზოგადოება კისრულობს სერბიაში რუსეთის ნავთის მიტანას.

**ვენა.** მაგნატთა პარლამენტმა განიხილა დღეს კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ ებრაელთა სარწმუნოებას იგივე უფლებანი ჰქონდეს, როგორც სხვა სარწმუნოებასა. ზოგიერთმა ორატორებმა ბევრი ილაპარაკეს კანონ-პროექტის იმ მუხლის წინააღმდეგ, რომლის ძალითაც ქრისტიანებს ნება უნდა ჰქონოდათ ებრაელთა სარწმუნოების მიღებისა. პარლამენტმა ეს კანონ-პროექტი არ შეიწყნარა.

**პარიზი.** ამბობენ, რომ საფრანგეთის 4 გემი ჩინეთში გაიგზავნა იმ მორიგების თანახმად, რომელსაც მიემხრნენ ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი.

## ახალი ამბავი

*** 27 სექტემბერს ქუთაისში დაიწყო კრება იმერეთისა, გურია სამეგრელოს და აბხაზეთის ეპარქიების სამღვდელოებისა. კრება უმთავრესს ყურადღებას მიაქცევს ქუთაისში დასაარსებელს სემინარიის საქმეს, სახელდობრ: სად უნდა იყოს სემინარია და სხვ. ეჭვი არ არის, რომ იგივე კრება სისრულეში მოიყვანს ცნობებს იმ ფულის შესახებ, რომელიც იყო შეკრებილი ამავე სემინარიის სასარგებლოდ.

*** ორშაბათს, 26 სექტემბერს, საღამოს 9 საათზედ, „ევროპის სასტუმრო ოთახებში“ თავი მოიკლა რევოლვერით ახალგაზდა კაცმა, თ. ვალერიან ვარდენის ძემ წერეთელმა.

*** ქუთაისი: 24 სექტემბერს აქ მოვიდა განკარგულება უწმიდესის სინოდისა, რათა ქუთაისის ახლად დაარსებულს სასულიერო სემინარიაში, უკვე მიღებულს 40-ს მოსწავლეს გარდა, კიდევ მიღებულ იქმნას ას ი მოსწავლეო.

*** ფოთი: ბ-ნს გაბუნიას, რომელიც ფოთის ქალაქის გამგეობაში მსახურობს და ბ-ნის მეუნარგიას მომხრეების ერთი მეთაურთაგანია, საჩივარი მიუცია გუბერნატორისათვის ხმოსნების არჩევის გამო: კანონიერი არ არის, რადგან ქალაქის მოურავს და მის ასისტენტებს ყველა ყუთში არ დაუთვლიათ თეთრი და შავი კენჭიო. უმეტესობა-კი იმას ამბობს, რომ ყველა ყუთში შავიც დათვალეს და თეთრიცაო.

*** ჯუმათი: 26 სექტემბერს, როდესაც საქონლის მატარებელი მიუახლოვდა სადგურ ჯუმათს, შენიშნეს, რომ ვაგონს ცეცხლი ეკიდა. მაშინვე გააქრეს და აღმოჩნდა, რომ გზაში ვიღაცა ბოროტ მომქმედებს გაეღოთ ვაგონი, გადაეყარათ 26 ცალი სამანუფაქტურო საქონელი და დანარჩენისათვის-კი ცეცხლი წაეკიდებინათ.

*** სოფ. ქარელი (ქართლი): ჩვენს სოფელში ამ ერთის თვის განმავლობაში ციებ-ცხელება ისე ძლიერ გავრცელდა, რომ სახლი არ არის, 2—3 ავადმყოფი არ იწვეს. ეს ორი კვირაა ყოველ დღე სწვიმს, რის გამოც, ისე ძლიერ აცივდა, რომ სწორედ ნოემბერი გეგონებათ. საწყალს გლეხ ხალხს ამისთანა ვაივაგლახში სიმინდი მინდვრად უყრია და ლამის იქვე ჩაულპეს. წრეულს ქერის მუშტარი თუმცა ბევრია, მაგრამ ცხრა შაურს ზევით ვერ აიწია ფუთმა. პური ვაჭარი ჯერ-ჯერობით თვალითაც არავის დაგვინახავს, შინაურადკი ფუთი ათ შაურად ისყიდება კარგი პური.

*** გაზეთს „Нов. Об.“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად კვლავ ბ-ნი სულხანიშვილი ამოირჩიეს და დეპუტატად-კი თავ. ი. რ. თარხნიშვილიო.

*** 26 სექტემბერს პოლიციის მეხუთე ნაწილში მცხოვრებელმა ვამან კონაიანცმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ საღამოს 8 საათზედ, როცა 5 კაცი ოთახში ჩაისა სვამდა, ვიღაცა კიბეზედ ამოვიდა, ფანჯრიდგან მოიტაცა 14 მან. ღირებული პალტო და 15 მან. სომხური წიგნებიო.

*** 27 ამ თვისას მუხრანის ქუჩაზედ ტფილისის მცხოვრებელმა ელისაბედ სტუპაჩოვისამ თავის მოკვლა განიზრახა და კარბოლის სიმჟავე დალია. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს და მორჩენის იმედი აქვთ.

### მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ტფილისში

კვირას, 25 სექტემბერს, ტფილისის საარტისტო საზოგადოების დარბაზში ტფილელებმა სადილი გაუმართეს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს.

სადილის დროს ტფილისის ქალაქის მოურავმა პ. ა. იზმაილოვმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„ახლად დაარსებულმა მეურნეობის სამინისტრომ მრავალი იმედი აღგვიძრა. გუშინ, სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ მინისტრმა სამ-გვარი დახმარება აღგვითქვა; 1) შეწევნა სწავლა-განათლების გავრცელებაში; 2) ზნეობრივი დახმარება ამ საქმეში და 3) დახმარება ფულად, იმედი მაქვს, რომ ყველა ეს დაპირება

## ფელეტონი

### სიღნაღისა და იმის მაზრის ავკარგიანობა

ხალხის გაუნათლებლობა და უპატრონობა.—სიღნაღის სასწავლებლები და ტვინის საზრდო.—კიდევ რა აკლია სიღნაღს?—მოედნები და ბულვარები.—კლუბი და ჩვენი „ბარიშნები“.—მაზრა და მაზრის სასწავლებლები.—მაგალითები დაქვეითებისა.—წოდებათა შორის დამოკიდებულება.

სიღნაღისა და იმის გარშემო მდებარე სოფლების შესახებ ბევრი წერილი დასტამბულა „ივერიაში“, მაგრამ რაც დაწერილა, სამი იმდენი კიდევ რომ დაიწეროს, საკმარისი არ იქნება ყოველისავე ნაკლულევანების ჩამოსათვლელად. სიღნაღის მაზრის შესახებ საზოგადოდ ის აზრია გავრცელებული, რომ ერთობ მდიდარი არისო.—ბუნებას მართლაც ყოველისფრით დაუჯილდოებია ეს კუთხე, მხოლოდ უბედურება ის არის, რომ აქ სიმდიდრეს აქაურნი მკვიდრნი ნაკლებად ჰხმარობენ.

ამ მიზეზითვე აიხსნება ის გარემოება, რომ ამ მაზრის სიმდიდრეს, უკეთ რომ ვსთქვათ, მცხოვრებთა ნაამაგდარს, ნაჭირნახულევს, ნაშრომს, რამდენიმე გაიძვერა, გაქნილი და უსულ-გულო მძარცველი დაჰპატრონებია. ბევრს შეხვდებით ისეთს მიკიტანხანების ბუშბერაზებს, რომლებიც მედიდურად გეტყვიან, რომ ამა და ამ სოფელში ამდენი და ამდენი კაცი გვყავსო. ეს ფრაზა მკითხველთათვის შეიძლება გაუგებარი იყოს—ეს იმასა ჰნიშნავს, რომ ხსენებულს მიკიტანხანის ბუშბერაზს რომელისამე სოფლის მცხოვრებთათვის თითო თუმანი ფული ანუ თითო კოდი პური უსესხებია ოდესმე, ადამის დროს და მას შემდეგ ბედკრულები ვალდებულ ყმად გაუხდია—მუდამ წლობით კალოობის დ რთველის დროს მიადგება ურმით და ძარცვავს დაჯაბნებულ ხალხის მთელის წლის ნაოფლარს. ამის დასამტკიცებელ მაგალითებს, თუ გნებავთ, ურმებით მოგაწოდებთ, მაგრამ მკითხველებს რომ თავი არ შევაწყინოთ ბევრის მაგალითის ჩამოთვლით, დავასახელებთ ჯერ-ჯერობით მარტო ს. ახაშენს, რომელიც ისე ჩაუბოჭავს ერთს ამირხანოვს, რომ ხალხს ვერ მოუხერხებია მისის ბრჭყალებისაგან თავისის საცხოვრებლის გამოხსნა. წარმოიდგინეთ, რომ თვით სოფელიც ხსენებულის ვაჟბატონის სახელით მოუნათლავთ—ახაშენი და ამირხანოვის სოფელი ერთი და იგივეა. მოგახსენეთ, ასეთი მაგალითები ურიცხვი გვაქვს მეთქი, მაგრამ ამათ დროებით თავი დავანებოთ და დავუბრუნდეთ სიღნაღს, როგორც შუაგულს ადგილს მთელის მაზრის განათლებულობისას.

სიღნაღის მცხოვრებთა რიცხვი 12,000 აღემატება. აი ამდენი ხალხი სჯერდება ორს სასწავლებელს—ერთს სამ-კლასიანს სამოქალაქოს და მეორეს წმ. გაიანეს სახელობაზედ აგებულს საეკკლესიო საქალებო პირველ-დაწყებითის სკოლას.

აი, ეჭვი რომ არავინ აიღოს ჩემის სიტყვების სინამდვილის შესახებ, ჩამოვთვლი, რამდენი ჟურნალ-გაზეთები მოდის სიღნაღში: „კავკაზი“ 12 ცალი, „ნოვ ობოზრ.“—15, „ტფ. ლისტ.“—10, „ივერია“—28, „მშაკი“—8, „ნორდარი“—3, „ნოვ. ვრემია“—3, „სვეტ“—2, „ვსემირნაია ილიუსტრაცია“—2, „რუსსკია ვედომოსტი“—2, „რუს“—6, „იურიდიჩ. გაზეტა“—3, „ნაუჩნოე ობოზრენიე“—2. „მოამბე“—12,“ „ჟივოპისნოე ობოზრ.“—6, „როდინა“—5, „რუსსკაია მისლ“—6, „ნოვ“—1, „სევერ“—1, „ნედელია“— 2, „პეტერბურგსკაია ჟიზნ“—1, „რუსსკი ,პოლომნიკ“—1, „სელსკი ვესტნიკ“-ი—1, „სტრეკოზა“—1, „სემია“—1, „ნივა“—29, „არდზაგანკი“—2 „კვალი“ დაახლოებით—8, „ჯეჯილი“—3 და „მწყემსი“—5. სულ 181 ცალი.

ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ჟურნალ-გაზეთები მარტო სიღნაღის მცხოვრებთ არ ეკუთვნის, არამედ, იმათ გარდა, მაზრის მომეტებულ ნაწილის მცხოვრებთაც. როგორ მოგწონთ? იქნება იფიქროს ვინმემ, რომ სიღნაღის მოქალაქენი ჟურნალ-გაზეთების კითხვას არ ეტანებიან, მაგრამ სამაგიეროდ სხვა წიგნების კითხვით ივსებენ დანაკლისსაო. კეთილი და პატიოსანი, რომ ეს ასე იყოს, მაგრამ სავალალო ისაა, რომ ესეც ტყუილი მოსაზრებაა. წარსულს წელში რამდენისამე კაცის მეცადინეობით აქ წიგნთ სამკითხველო დაარსდა, რომელმაც ერთის წლის განმავლობაშივე, სიღნაღელების სამარცხვინოდ, სული დალია. რადა? იმიტომ რომ სიღნაღის „დრაჟდანები“ წიგნების კითხვას საჭიროდ არა სთვლიან.

სხვა მაინც ხო არა აკლია რა სიღნაღსაო? იკითხავს ცნობის მოყვარე მკითხველი. როგორ არა! აი თუ გინდა ქუჩები, რომელთა შორის ზოგი ისეთი ვიწრო და ულაზათოა, რომ საწყალი არუთინა, როცა ხაშინაჭამი მიდის, თავისი მოდიდო მუცელი ხან ერთ დუქანში უნდა შეაგოროს, ხან მეორეში, რომ სხვებსაც ქუჩაზედ გავლის საშუალება მისცეს. არც სასეირნო ბაღი აქვთ სიღნაღელებს, მაგრამ ამისათვის იმდენადვე დარდობენ ისინი, რამდენადაც სხვისათვის, ან-კი რა საჭიროა ბაღი, როცა უიმისოდაც იოლად მიდიან; სამაგიეროდ, აქვს მოედანი საცა ხალხი, სახედრები, ძროხები ფაეტო-

ასრულდება და ტფილისს იქმნება დაარსებული უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი პოლიტეხნიკუმი. ვსვამ სადღეგრძელოს მინისტრისას, რომელიც ამდენს სიკეთეს გვპირდება".

შემდეგ მინისტრმაც წარმოსთქვა სიტყვა და სხვათა შორის სთქვა:

„დიდად ვწუხვარ, რომ საკმარისი დრო არა მაქვს შევისწავლო კავკასიის მხარე, რომელიც ღირდა დაწვრილებით შესწავლისა და ამიტომ ჯერ-ჯერობით ბევრს ვერას დაგპირდებით გარდა იმისა, რომ ვეცდები მეტი ყურადღება მივაქციო ამ მშვენიერს ქვეყანას, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ რუსეთის გვირგვინის უძვირფასესს მარგალიტსა და ვეცდები ყოველთვის მოვახსენო ხელმწიფე იმპერატორს ყოველი ღონისძიება, რომელიც საჭირო იქმნება კავკასიის კეთილდღეობისათვის". სადილის შემდეგ ($9^1/_2$ საათზედ) მინისტრი წავიდა კავკასიის მთავარმართებლის სასახლეში და იქ დაესწრო საფილოქსერო დასთა კრებას.

ორშაბათს, 26 სექტემბერს, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი წავიდა ყარაიაზში. ყარაიაზიდგან მინისტრი წავა ბაქოს, შემდეგ უზუნ-ადასა, და პეტროვსკაში და მერე პეტერბურგს დაბრუნდება.

## დრამატიულ საზოგადოების კრება

—

ორშაბათს, 26 სექტემბერს, საღამოზედ, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში კრება იყო დრამატიულ საზოგადოების წევრთა. კრებას საკმაოდ ბლომად დაესწრო ხალხი.

კრების თავმჯდომარემ ბ-ნმა გ. მ. თუმანიშვილმა, წაიკითხა-რა ხარჯთაღრიცხვა, რომელშიაც შემოსავალი ხარჯი 1,524 მან. 21 კაპ. არის აღრიცხული, განაცხადა, რომ წრეს ყმაწვილ-კაცებისას განზრახვა აქვს იკისროს დასის შედგენა და წარმოდგენების გამართვა ამ ზამთრის სეზონში, მხოლოდ დახმარებასა გვთხოვს, რომ 500 მან. ფულად მივცეთ და წიგნთსაცავი და სათეატრო ტანისამოსიო. ჩვენ ეს საქმე განვიხილეთ კიდეც და გადავწყვიტეთ, გადავცეთ ამ წრეს, ხოლო ეს ჩვენი გარაწყვეტილება თქვენ უნდა დაამტკიცოთო. ზოგიერთნი წევრნი შეეკითხნენ საზოგადოების მმართველობას, ვინ არიან მაგ წრის წევრნი, რა ქონება აქვთ, რა ცოდნა მაგ საქმისა და, საზოგადოდ, სანდონი არიან, თუ არაო.

თავმჯდომარე. დავასახელებთ მხოლოდ იმ სამს წარმომადგენელს, რომელნიც ჩვენთან იყვნენ ამ ამხანაგობის სახელობით მოსალაპარაკებლად. იმათ შორის იყვნენ თ. ა. ვახვახიშვილი, თ. ი. ბარათაშვილი და გ. კვალიაშვილი. სია ამხანაგებისა არა გვაქვს და არც ვიცით, ვინ არიან.

ვ. სულხანიშვილი იმ აზრისა იყო, რომ უეჭველად სიამოვნებით უნდა მივიღოთ წინადადება ამხანაგობისაო. რამდენსამე კაცს მოუყრია თავი, თავისის ჯიბით ჰსურთ აწარმოონ ეს საქმე, ზარალსაცა და მოგებასაც თითონა კისრულობენ, მხოლოდ ხუთასს მანეთს გვთხოვენ დახმარებას. ამასობაში ჩვენმა კომიტეტმაც გადასწყვიტა, ვერ ვიკისრებთ დასის შედგენასა და წარმოდგენების გამართვასაო. მაშასადამე, მაგაზედ უკეთესს რას ვიზამთ, რომ იმათ დავუთმოთ ჩვენი უფლებაო.

გლ. ალექსი-მესხიშვილი. აქვს რამე შეძლება ამხანაგობას? ხუთასი მანეთი ხომ არა კმარა და რითი უნდა გაუძლვნენ დასის ხარჯს?

ვ. სულხანიშვილი. ალბად აქვთ.

ვ. ალექსი-მესხიშვილი. აქ ალბადობით ლაპარაკი შეუძლებელია. ჩემის აზრით, დიდი უკანონობაა, რომ ეგ ხუთასი მანეთი სუბსიდია ამ თავითვე მივცეთ, როგორც მმართველობასა აქვს გადაწყვეტილი. თუ ფული აქვთ, თითონ დაიწყონ საქმე, გვაჩვენონ თავისი ცოდნა მაგ საქმის წარმოებისა და მერე მივცეთ ეგ სუბსიდია, ისე, როგორც ყველგან არის.

პავ. ყიფიანი. რაკი ჩვენ არ ვიცნობთ იმ ამხანაგობას, თითონ დრამატიულის საზოგადოების მმართველობავე შეეკრას პირობით. ვინიცობაა ამხანაგობამ პირობა არ შეუსრულა მმართველობას, უჩივლოს და გადაახდევინოს ეგ ხუთასი მანეთი. ხოლო თუ ვერ გადაახდევინა, თითონ იკისროს ეგ ზარალი საზოგადოების წინაშე.

თ. გ. თუმანიშვილი. ჩვენ რაღად ვიკისრებთ, თუ თქვენ გადასწყვიტეთ, რომ მიეცეთ ეგ ფულიო.

ა. ახნაზაროვი. ჩვენ როგორ გადავწყვიტოთ, როდესაც არ ვიცით, ვინ არიან და რა აქვთ. აქ იკითხეს, აქვთ თუ არა შეძლებაო, და უპასუხეს ალბადაო. საალბადო საქმეში განა შესაძლებელია გარდაწყვეტილის ჰოსა და არას თქმა. ჯიბეს ახსენებენ და აღარ ამბობენ, არის რამე ამ ჯიბეში თუ არა? ბ-ნმა პავ. ყიფიანმა გითხრათ, თქვენ ენდეთ და თქვენვე იყავით ჩვენნი პასუხის-მგებელნიო, და თქვენ არ ინდომეთ ეს პასუხისგება. თუ თქვენ, როგორც სთქვით, უმეტესობას იცნობთ და ასეთი პასუხის-გება ვერ გიკისრიათ, ჩვენ როგორ-ღა ვიკისროთ, როდესაც იმათი ვინაობა არ ვიცით?!

ან. ფურცელაძე. ჩვენ გვიცხადებენ, რომ თვით მმართველობა ვერ იკისრებს ამ საქმეს და უნდა გადასცეს ვისმეო. ამ საქმის აღების მსურველი-კი ერთად ერთი ეს ამხანაგობაა. მაშასადამე, თუ ამ ამხანაგობას არ მივანდეთ, ქართული წარმოდგენები წრეულს არ იქმნება. აშკარაა, რომ უეჭველად იმათ უნდა გადავცეთ.

ვ. ალექსი-მესხიშვილი. თუ ფული აქვს მაგ ამხანაგობას, მისცეს ჩვენს მმართველობას და მმართველობამ დაიწყოს ეგ საქმე.

ვ. გუნია. არ ენდობა მმართველობას, რადგან ყოველი წევრი ამ ამხანაგობისა თავისის ჯიბით არის პასუხის-მგებელი ზარალისა და თითონვე ჰსურს გაუძღვეს იმ საქმეს, რომლისათვისაც ფულსა ჰხარჯავს.

ვ. ალექსი-მესხიშვილი. თუ ამხანაგობას არ ენდობა ჩვენი მმართველობა როგორ-ღა უნა ენდოს და ამ თავით მისცეს სუბსიდია?

პეტრე ყიფიანი იმ აზრისაა, რომ უეჭველად უნდა მივცეთო.

ი. გ. მაჩაბელი. ვერ მივცემთ, რადგან არ ვიცით ვის ვაძლევთ. თუ მმართველობა იცნობს, თითონ ენდოს, თუნდა მთელის მმართველობის შეძლება და ქონებაც იმას გადასცეს, ჩვენს წინაშე პასუხის მგებელი-კი თითონ იყოს. დრამატიულს კომიტეტს ბანკი იმ პირობით აძლევს ას თუმანს, რომ წარმოდგენები უეჭველად გაჰმართოს. თუ არ გაჰმართავს, ვერც ეგ ფული მიეცემა. მაშასადამე, აქ ტყუილად სცდილობენ ძალმომრეობა იხმარონ ჩვენზედ და გვაშინებენ, თუ იმათ არ მივანდეთ ეგ საქმე, არც წარმოდგენები იქნება წრეულსაო.

დ. კარიჭაშვილი. აქვს რამე ხელშეკრულობა ერთმანეთ შორის მაგ ამხანაგობას? კანონიერი დაწესებულებაა, ნოტარიულად ხელ-შეკრული, რომ შეიძლებოდეს იმათთან საქმის დაჭერა? ეგენი ამ შემთხვევაში ერთს ანტრეპრენიორს წარმოადგენენ და აქვთ რამე საბუთის ქაღალდი, რომ იმას ვენდოთ?

კრების თავმჯდომარე. ალბად ნოტარიული პირობაც ექნებათ შეკრული, ჩვენ ჯერ არ მოგვითხოვნია ყველა საბუთები.

აქ ყუთები დასდგეს იმ საგნის გადასაწყვეტად, გადავცეთ თუ არა ამხანაგობას დასის შედგენის უფლება, რა პირობითაც ისინი თხოულობენო.

ვ. ალექსი-მესხიშვილი. ერთი საკითხავიც: იმ ამხანაგობის წევრს, რომელიც დრამატიულ საზოგადოების წევრიც არის, აქვს თუ არა უფლება ამ კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღოს.

გ. მ. თუმანიშვილი. ჩემის ფიქრით, კანონით აქვს ეს უფლება, ზნეობრივად-კი...

პეტ. ყიფიანი. კანონით უფლება აქვთ და ვერც ჩვენ ჩამოვართმევთ ამ უფლებას. იმათ პირად სურვილზეა დამოკიდებული, უნდათ ისარგებლებენ თავისის კენჭით და არ უნდათ—არა.

ხმა აქეთ-იქიდგან. არ აქვთ უფლება, არა!..

ა. ახნაზაროვი. გვაცოდინეთ, თუ შეიძლება, სულ რამდენია აქ ისეთი წევრი, რომელსაც უფლება აქვს კენჭისა.

გ. მ. თუმანიშვილი. თორმეტი.

ა. ახნაზაროვი. მაგათ შორის რამდენია ისეთი, რომელნიც ხსენებულ ამხანაგობის წევრნიც არიან? ისე გვითხარით, დაუსახელებლად.

პეტ. ყიფიანი. არ ვიცით და ვერც გეტყვით.

კენჭი უყარეს ამ საგანს და ათის ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ერთისა გადაწყვეტილ იქმნა ამხანაგობას გადაეცეს ქართულის დრამატიულ დასის შედგენა და წარმოდგენების გამართვა და 500 მანეთითა და წიგნთ საცავ ტანისამოსითაც დახმარება აღმოეჩინოს. ამავე კენჭის ყრის დროს მმართველობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ დ. ავალიშვილი (11—1), დ. კარიჭაშვილი (10—2) და კანდიდატებად ისარლიშვილი (10—2) და ი. მაჭავარიანი (10—2). სარევიზიო კომისიის წევრებად ბ-ნნი ისარლიშვილი, გუნცაძე და პ. ყიფიანი, ხოლო კანდიდატად ი. მაჭავარიანი.

კრება დაიშალა საღამოს 11 საათზედ.

## კორესპონდენცია

—

**შილდა**, 15 სექტემბერი. მთელის კახეთისათვის, სადაც წყალის გამო ათასი სადავიდარაბო საქმეა, მხოლოდ ერთი მირაბია დანიშნული. მართალია, მირაბი აქა სცხოვრობს, მაგრამ თვეში ერთს დღეს არ შეხვდება აქ ყოფნა და ამის მოვალეობას ასრულებს მისი თანაშემწე, სოფლისაგან-კი არა, მამასახლისის წინადადებით რამდენისამე კაცისაგან ამორჩეული ჯუვარი (მერუეების უფროსი). ეს ჯუვარი სომეხია. იგი ყოველს ღონისძიებას ჰხმარობს ის მამულები დააკმაყოფილოს წყალით, რომლებშიაც თითონ აქვს წილი. ბევრი უსიამოვნება და დავიდარაბა არის ხალხში.

არც სხვა მხრივ ადგას კარგი დღე ამ ჩვენს სოფელს. ყველა მოხელე, მამასახლისიდგან დაწყებული უკანასკნელ გზირამდე, მხოლოდ თავისს ჯიბეს და მუცელს ჩასტირის. ანკი რა უნდა გააკეთოს იმისთანა მამასახლისმა, რომელიც ფულის გაცემითა და აღებ-მიცემობით უკეთესს ვაჭარს სომეხს გადააჭარბებს. მიკიტნის დუქანი გინდა, მამასახლისია მონახევრე, საზამთროს ბაღებია, ეს არის მონახევრე, ფულის გაცემაა-და, ამან უკეთესად იცის: როგორც დააბინავებს გლეხ-კაცი მოსავალს ღვინისას და ელოდება ან ეხლა, ან ეხლა სირაჯი კარზედ მომადგებაო და რიგიან ფასად გავყიდი ღვინოსაო და ყველა გადასახადსაც მოვიშორებო, ერთბაშად შეუტევს მამასახლისი ფოსტის ფულს და მთლად დააწიოკებს გლეხს.

ნები და სხვა ყველანი ერთად დასეირნობენ. ეს არა სჯობდა რაღაც ბულვარებსა და «გულვარდებს», რომელთა გაკეთებისათვის ათასობით და ათიათასობით დახარჯულა? მოედნის გასაკეთებლად-კი სიღნაღელებს ერთი გროშიც არ დახარჯვიათ. მართლა, ჩვენში მოედანი ისე გაფხეკილია და იმდენი მტვერი ასდის, რომ იქ მოსეირნეს ბევრად ურჩევნია თავისს დღეში სასეირნოდ არ გავიდეს. მართალია, იქ მოსეირნე "ბარიშნას" ხან სახედარი დაეტაკება და ხან დროგი ხოლმე, მაგრამ ეს არაფერია! ერთი მაგალითიც არ ყოფილა, რომ ამის გამო ვინმე მომკვდარიყოს, მაშ რაღა გინდათ სხვა?

სიღნაღელებს უფრო დიდი ყურადღება იმის დაარსებისათვის მიუქცევიათ, რაც მათთვის ყოვლად უმნიშვნელო და უსარგებლოა. მე აქაურის „კლუბის" შესახებ მოგახსენებთ. რად უნდოდათ, ანუ ვისთვის უნდოდათ ეს ეგრეთ წოდებული, კლუბი? ეს საკითხი, ვგონებ, ჯერაც კიდევ არა აქვთ გამორკვეული ჩვენს მოქალაქეებს. მართალია, იქ ათასში ერთხელ იმართება „ტანცოვალნი ვეჩერები", მაგრამ, ვაი თქვენს მტერს! რა გაჭირვებაში სცვივიან ამ გვარი „ვეჩრების" დროს აქაური „ბარიშნები"! ეს რაღაც „ცივილიზაცია" არის, ამან ხომ ყველგან ამოჰყო თავი ახლა; აბა წარმოიდგინეთ ახლა თქვენ, განათლებულმა ბარიშნებმა ვისთან უნდა „იტანცაონ"; ისინი ხომ „კავალრებად" არ იკადრებენ სიღნაღის მოქალაქეებს, რომელთა სამოსია მოკლე ახალუხი, განიერი შარვალი და ფართო ქამარი. ეს ცხადზე უცხადესია. გაჭირვებიდან აქაური ბარიშნები უნდა დაიხსნან სოფლელმა თავადებმა, თუ როგორმე ისეთს დროს მოხვდნენ სიღნაღში, თუ არადა.... მაგრამ კმარა ამის შესახებ საუბარი.

ცხადია, რომ ყველგან და ყველასათვის ქალაქია მაგალითის მიმცემი გარშემო სოფლებისა. სიღნაღი, როგორც დაქვეითებული ყოველ სახეირო საქმეში, ვერაფერი გზის მაჩვენებელია სოფლებისა. იქაც, როგორც სიღნაღში, სწორედ იმას სტოვებენ უყურადღებოდ, რაც პირველი საქმეა ცხოვრებაში ხალხისათვის. მართალია, ახლა ხელთ არა მაქვს ცნობები, რომ მათე-მატიკურის შედარებით შემეძლო დამემტკიცებინა რამდენად არის ჩამორჩენილი სასწავლებლების სიმრავლის მხრივ სიღნაღის მაზრის სოფლები სხვა მაზრებთან შედარებით, მაგრამ ეს-კი უეჭველია, რომ საქართველოს სხვა მაზრებს, თუმცა არც იქა დიდს და გადიდულს სწავლა-განათლება, ბევრად უკან ჩამორჩენია სიღნაღის მაზრა. აქ ხშირად შეხვდებით ისეთს სოფელს, რომელშიაც 200—700 კომლამდე მცხოვრებია, მაგრამ არავითარი სკოლა-კი არა აქვს, ან თუ აქვს, ისე პატარა, რომ 10—20 ბავშვი ძლივს-ძლივობით თავსდება შიგ. მაგალითებრ, მუკუზანს—არა აქვს სკოლა; ახაშენს—ერთი პაწია სამრევლო სკოლა აქვს იქაური ახალგაზდა მღვდლის ხარჯით და მეცადინეობით დაარსებული, რომლისათვისაც სწორედ რომ დიდი პატივისცემის ღირსია, რადგან იმის მეტი იმოდენა სოფელში (200 კომლია) სწავლა განათლების გულშემატკივარი არავინ გამოჩენილა; ჩუმლაყს არავითარი სკოლა არა აქვს; ჯუგანს და ტიბაანში არ არის სკოლები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატივცემულის არხიმანდრიტის ლეონიდის მიერ ამ თვეებში აგებულ სასკოლო შენობას ხირსის მონასტერში. ზოგან ორ-ორს და სამ-სამ სოფლებს, რომლის მეკომურთა რიცხვი 500—1,200-დის ადის, მარტო ერთი პაწია სკოლა აქვს, როგორც მაგალითად ანაგასა და ვაქირს, ფანიანსა და ქვემო-მაჩხაანს, მირზაანს და ზემო-მაჩხაანს და სხ.

სიღნაღის მაზრის სოფლების ასეთი ჩამორჩომა სწავლა-განათლების მხრით არ შეიძლება რამდენადმე იმ სოფლებისავე თავად-აზნაურობასაც არ დაებრალოს, რომლებიც ზნეობრივად მოვალენი არიან უმცროს ძმებს წინამძღოლობა გაუწიონ, მეტადრე ის თავად-აზნაურნი რომელთაც განათლებაც რიგიანი მიუღიათ და თ ვიანთ თავს ქვეყნის ბელადებადაც ჰხადიან. მაგალითად ავიღოთ ს. ჩუმლაყი, იქაურ მემამულეთა შორის ითვლება ერთი თავადი, რომელსაც ტფილისში ერთ საუკეთესო მამულიშვილად ჰხადიან, მაგრამ იმ დალოცვილს თავისს სამკვიდრო სოფელში იმდენი ზედ-გავლენა არა აქვს ხალხზე, იმდენად თავი არ შეუწუხებია, რომ ერთი პირველ-დაწყებითი სკოლა მაინც დაეარსებინა, რომ უბრალო წერა-კითხვა მაინც ესწავლა მოზარდ ახალთაობას. საზოგადოდ სიმართლეს მოკლებული არ იქნება თუ ვსქვით, რომ სიღნაღის მაზრაში და მთელს კახეთშიაც ერთობ დაშორებულნი არიან ერთი მეორისაგან მაღალი და დაბალი წოდება; პირველს მეორეზედ არავითარი ზნეობრივი გავლენა არა აქვს და მეორე პირველს ერთობ ეჭვის თვალით უცქერის. როდემდის გასტანს ასეთი დამოკიდებულება, ამის წინასწარმეტყველებას ჩვენ არ ვკისრულობთ, მაგრამ რაც ადრე შეიცვლება, მით, რასაკვირველია, უფრო უკეთესია, უფრო სასარგებლო და სასიამოვნო.

L.

რამეტი ჩარა აქვს უნდა მიჰმართოს ისევ ფულის გამსესხებელს, რომელთა შორის პირველი თითონ მამასახლისია, და მესამედ ფასად მიჰყიდოს. ამას გარდა, არყის ქვაბიც უდგა და არაყსა ჰხდის, მთავრობის ნება რთვით, თუმცა კანონი უკრძალავს სოფლის მოხელეებს ვაჭრობასა და არაყის ხდას სავაჭროდვე.

საზოგადოდ, როგორც ვიცით, კახეთის სოფლებში სამიკიტნო დუქნები იშვიათად არის და აქ, შილდაში ხომ აქამდის სახელიც არავინ იცოდა. ყველა გლეხი ვენახის პატრონია და მომეტებულს ნაწილს ღვინო ახალ მოსავლამდის სახლში აქვს. ვინც ნაკლებად არიან, ისინიც იოლად მიდიან ხოლმე სესხით. დღეს-კი ეს სამიკიტნოებიც ორია, რომელთა შორის ერთი მამასახლისის სანახევროა, ფული ამისია და კაცი ნახევარში ჰყავს. საზიზღარს სურათს წარმოგვიდგენს ეს სამიკიტნოები: კვირა-უქმე დღეს ვინა სჩივის, საქმის დღესაც სავსეა ხალხით, პატიოსანს ადამიანს არ გაევლება. ლანძღვა, გინება და საგანიც ლაპარაკისა მხოლოდ ის-ღა გესმის, მე თორმეტი არაყი დავლიე, მე—ათიო; არც მოხელეები უშლიან ხელს, სადაც შესარიგებელი ან სხვა რამე გადასახადი არის, მამასახლისის დუქანში ამართვინებენ. მომეტებული ჯარიმაც იმ დუქნის სასარგებლოდ სწყდება. ზოგჯერ სახლიდგან გამოტანილს გირაოს პირდაპირ სამიკიტნოში მიარბენინებენ.

ბევრს ეცადა თურმე ადგილობრივი ბოქაული, რომ აქ სამიკიტნოები არ ყოფილიყო და ხალხიც დაითანხმა, მაგრამ ამ კეთილის მსრუველმა მამასახლისმა ისეთი მიზეზი შეიტანა, რომ ძალა უნებურად დაიყოლია ბოქაულიცა და ხალხიც. აი ის მიზეზიც: თითო სამიკიტნო დუქანს, გარდა სახელმწიფო გარდასახადისა, სოფლის სასარგებლოდ ათ-ათი თუმანი გადაახდევინა. დავანებოთ ჯერჯერობით თავი იმას, თუ რამდენად სასარგებლოა ოცი თუმანი და რამდენად საზარალოა ორ-ორი სამიკიტნო დუქანი და ვკითხოთ, სად არის ის ოცი თუმანი? ამ ფულის გარდა, თურმე სხვა ფულებიც ბევრი ჰქონია სოფლისა ამ გვარადვე შენახული და არავის ანგარიშს არ აძლევს.

დროა აქაც მიაქციოს მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება და გადაარჩინოს ეს ფული ამ განსაცდელს. დროა და ვგონებ ძლიერ სასარგებლოც იქნებოდა, აქაც შემოეღოთ ის წესი და წყობილება მამასახლისების შესახებ, როგორიც არის გორის მაზრაში; ეს მით უფრო საჭიროა, რომ თვით სოფელი მოწადინებულია მისცეს, რამდენიც იყოს, ჯამაგირი, ოღონდ რიგიანი და ნასწავლი კაცი დაენიშნოთ.

შილდელი

## თეატრი და მუსიკა

ხვალ სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქმნება ორ-მოქმედებიანი ოპერა ლეონ კავალოსი „მიმოსნი“ („Паякы“), „რუსალკას“ მესამე მოქმედების მეორე სურათი და ერთ-მოქმედებიანი ბალეტი „დღესასწაული მადოროსიაში“. მონაწილეობას მიიღებენ ოპერაში ქ-ნი თამაროვისა და ბ-ნნი მაქსაკოვი, ოშუსტოვიჩი, დავიდოვი, იზმაილოვი და სხვანი.

—

ბერლინში ერთი ახალი პიესა წარმოუდგენიათ, რომელსაც სახელად „ფეიქრები“ ეწოდება. ამ პიესამ დიდი და თავს-ზარ დამცემი გავლენა იქონია მაყურებლებზედ. ხალხის საშინელი, ისე არასოდეს არ ყოფილა დასურათებული და ისე დიდად არასოდეს არ აუწვილებია და არ აუმღვრევია შეძლებულთა გული, როგორც „ფეიქრებმა“ აღელვა საზოგადოება და სიბრალულის გრძნობა აღუძრა. ერთის გაზეთის რეცენზენტი სწერს: ამისი მსგავსი სურათი ჯერ მსოფლიო ლიტერატურაში არა ყოფილაო. და გუშინდელი წარმოდგენა მარტო სცენაზედ ნათამაშევი დრამა-კი არ იყო, არამედ ამ სცენის დრამას მოჰყვა მეორეც, რომელიც თეატრის დარბაზში სწარმოებდა. მეორე ამბობს: თეატრს ამ გვარი გავლენა მხოლოდ ისტორიის ზოგიერთს ხანაში ჰქონია და ძალა უნებურად გაგონდებათ მეთვრამეტე საუკუნის საზოგადოება, რომელიც საფრანგეთის თეატრში აღტაცებით მიეგება ბომარშეს პიესას „ფიგაროს ქორწინებანი“.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ვენის ოფიციალურ გაზეთს „Politiche Correspondenz“-ს დეპეშით სწერენ პეტერბურგიდგან:

აქ ამბავი მოვიდა, რომ ჩინეთის ყველა პროვინციაში დიდი უწესოება სუფევსო. ხალხი იმდენად უკმაყოფილოა მთავრობისა, რომ შეიძლება ამბოხებაც-კი მოხდეს მანჯურიის სამეფო გვარეულობის წინააღმდეგ. რაც შეეხება ჩინეთის მუდმივს ჯარს, არ ითქმის, რომ კარგად არ იყოს გაწვრთნილი ეს ჯარი. ხოლო რაც შეეხება იმ ჯარს, რომელიც ჩინეთის მკვიდრთაგან არ არის მოკრებილი, და რომლისაც დიდი იმედი ჰქონდა ჩინეთს, ამ ჯარში დიდი უწესოება ხდება. ამასთანავე ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ჩინეთის ხაზინა ცარიელია და მთავრობა წლებზედ ფეხს იდგამს, რათა როგორმე დააკმაყოფილოს ჯარის აუცილებელი მოთხოვნილებანი.

ამას გარდა, იმავე გაზეთს სწერენ პეტერბურგიდგან:

კორეის გამო იაპონიასა და ჩინეთს შორის ომის დაწყებისათანავე გამოცხადებულ იქმნა, რუსეთი არას გზით არ მოითმენს, რომ კორეის დამოუკიდებლობას ხელი შეახოს ან იაპონიამ ან ჩინეთმაო. ამას აიძულებს რუსეთს, როგორც მისი პოლიტიკა, აგრეთვე სავაჭრო ინტერესები. ამავე მიზეზით რუსეთი არ მოითმენს, რომ რომელიმე სახელმწიფო თავისის სარგებლობის გულისთვის კორეის საქმეში ჩაერიოს. კორეში მომხდარ ამბებმა სრულიად არ შესცვალეს რუსეთის მთავრობის აზრი კორეის საქმეების შესახებ და პენგ-იანგთან იაპონელთა გამარჯვების შემდეგაც რუსეთი იმავე აზრისაა, როგორისაც უწინ იყო.

რუსეთის ჟურნალ-გაზეთებიც იმავე აზრისანი არიან, დასძენს გაზეთი, როგორისაც თვით მთავრობა არისო.

## რუსეთი

—

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დანიშნა კერძო მოსიარულე მებაღეები, რომლებმაც ვენახების პატრონებს დახმარება უნდა გაუწიონ და რჩევა მისცენ. უმთავრესად-კი ეს მებაღეები სოფლის მასწავლებელთა დასახმარებლად არიან დანიშნულნი. ეს მებაღენი აქამდის შემდეგს გუბერნიებში იყვნენ დანიშნულნი: პსკოვისა, პოლტავისა, ეკატერინოსლავისა და ხერსონის გუბერნიაში. ეხლა-კი განზრახვა აქვს, სხვა გუბერნიებშიაც დანიშნოს, სადაც-კი მებაღეობასა და მებოსტნეობას მისდევენ. აგრეთვე განზრახვა აქვთ მევენახეობის მცოდნე მოხელეთა რიცხვი გაამრავლონ. აქამდის მარტო ერთი იყო ჩრდილო რუსეთში. ამასგარდა სამინისტრომ გადასწყვიტა საცდელად რამდენიმე საერო მასწავლებელი გაჰგზავნოს სხვა-და-სხვა სოფელში, რომ იმათ დახმარება აღმოუჩინონ რჩევა-დარიგებით მებაღეობისა და მებოსტნეობის სიმდევართ. ამისათვის უფრო ისეთი მასწავლებლები არიან ამორჩეულნი, რომელთაც სახელი აქვთ მოპოვებული გამოცდილისა და მცოდნე მებაღე-მებოსტნისა.

—

სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ 13 ავგისტოდგან 12 სექტემბრამდე პეტერბურგის პოლიციებში ძლიერ მთვრალები მიუყვანიათ 183, ამათში 156 მამა-კაცი და 27 დედა-კაცი. დედა-კაცთა შორის ერთი პოლპორუჩიკის ცოლი ყოფილა და ორიც კოლეჟსკი სეკრეტრის ქალი. ამავე ცნობებიდგანა სჩანს, რომ ქალაქის მკვიდრ მცხოვრებთა ცოლები უფრო მეტსა ლოთობენ თურმე, ვიდრე გლეხკაცის ცოლები. ზემოხსენებულთა შორის ყოფილა: 15 ჯარის კაცი, 5 ჯარის კაცთა ცოლი, 3 ხელოსანი (2 მამა-კაცი და 1 დედა-კაცი). უცხოელთა შორის მთვრალი მიუყვანიათ პოლიციებში მხოლოდ ორი პრუსიელი. ზემო აღნიშნულ რიცხვში არც ერთი ვაჰარი არა ყოფილა. სამაგიეროდ ყოფილან: 1 საპატიო მოქალაქე, 1 სამსახურიდგან დათხოვნილი კოლეჟსკი სეკრეტარი, 1 აზნაურშვილი და ერთი ობერ-აფიცრის შვილი.

—

მოსკოვის გუბერნიის რამდენიმე სამეურნეო საზოგადოებათ განზრახვა აქვთ იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ ის ფულით გარდასახადი, რომელიც სურსათის მაგიერად ერთმევა ხალხს, სურსათითვე გამოერთვათ. ამის გამო, ამ დღეებში ერობის თავმჯდომარეთ კრება ჰქონდათ მოსკოვის გუბერნიის გამგეობასთან. ამ კრებამ გარდასწყვიტა, რომ სურსათის მაგიერად ფულით გარდასახადი სურსათით გარდახდეთ მარტო იმ სოფლის საზოგადოებათ, რომელნიც ხორბლის შესანახავად შესაფერს შენობას ააგებენო. ამასთანავე სასოფლო გამგეობის მიერ სურსათის მაგიერად შეგროვილი ფული მხოლოდ მაშინ დაუბრუნდებათ, როდესაც ბეღლებში საკმარისი ხორბალი იქნება ჩაყრილიო.

## უცხოეთი

—

**აღმოსავლეთის ომი.** გაზეთის „Francfurter Zeitung“-ის ლონდონელი კორესპონდენტი ჩინეთისა და იაპონიის შესახებ ნამდვილის წყაროებიდგან შეტყობილს საყურადღებო ცნობებს იწერება. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ თუ ვინიცობაა იაპონიამ გაიმარჯვა, აზრადა აქვს ჩინეთის სახელმწიფო სამს სამეფოდ გაჰყოს და ამ სამეფოების მმართველად ადგილობრივი მცხოვრებნი დანიშნოს. რადგანაც ჩინეთის ამ გვარად დაყოფას ევროპის დიდთ სახელმწიფოთა თანხმობაც დასჭირდება, იაპონიას აზრადა აქვს საერთაშორისო კონფერენცია მოიწვიოს და იმათ გაახილვინოს ეს საგანი. ერთის სამეფო ტახტის კანდიდატად ლიხუნგ ჩანგს ასახელებენ, რომელსაც ვითომც ნაუწყებიცა ჰქონდეს ასეთი სურვილი იაპონიისა.

—

„Politische Korrespondenz“-ს აუწყებენ, რომ იაპონელების გამარჯვების გამო ინგლისის საპოლიტიკო წრეებში კვლავ ჰშიშობენ, რომ დიდი სახელმწიფოები იაპონელებისა და ჩინელების საქმეში არ ჩაერივნენო. ამასთანავე ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა თანდათან უფრო ავრცელებენ ხმებს, რომ სასარგებლო იქმნება ინგლისის კაბინეტმა იშუამდგომლოს, რომ მებრძოლნი მორიგდნენ როგორმეო.

—

შანჰაიდგან იუწყებიან, რომ ჩინეთის იმპერატორი საშინლად არის გაჯავრებული თავისს მახლობელ-მრჩევლებსა და ვეზირებზედ იმის გამო, რომ მდ. იალუსთან მომხდარ ომში დამარცხება არ შეატყობინეს. ამის ნაცვლად, ისინი არწმუნებდნენ იმპერატორს, რომ მდ. იალუსთან მომხდარს ბრძოლის დროს იაპონელების ფლოტი სულ ერთიან დავღუპეთო. მაგრამ ბოლოს-კი იმპერატორი დარწმუნდა, რომ ატყუებდნენო. ამბობენ: იმპერატორმა ბრძანება გასცა ყველა იმის მახლობელ მოხელეთ ღირსება აეყაროთ და ჯარების უფროსნიც სამსახურიდგან იქმნენ დათხოვნილნიო.

—

შანჰაიდგან რეიტერის ბიურო იუწყება, რომ ჩინელი აფიცრები ერთმანეთს აბრალებენ მდინარე იალუსთან დამარცხებასაო. გამოძიება ჯერაც არ გათავებულა. ერთი კაპიტანი სიმხდალისათვის უკვე ჩამოურჩვიათ. ამბობენ, ამ გვარი ბოლოვე მოელის სხვა აფიცრებსაცაო. ადმირალ მატინგმა, რომელმაც თავისს აფიცრებზედ საჩივარი შეიტანა, გამოაცხადა, რომ ჩინელების შვიდი ხომალდი, როდესაც იაპონელები გამოჩნდნენ, მდინარე იალუსის შესართავში დაიმალნენ და ბრძოლის გათავებამდის იქ იყვნენო.

—

**პარიზი.** ჟურნალ-გაზეთობა კვლავ განაგრძობს წერას ინგლისელების აგიტაციისა და უმართებულო მოქმედების შესახებ მადაგასკარის კუნძულზედ. გუშინ „Figaro“-მ დაჰბეჭდა ერთი წერილი, რომელშიაც ცხადად სჩანს ინგლისელთა და ფრანგთა გამწვავებული ურთიერთობა. საზოგადოება აღელვებულია. დასასრულ პარიზის გაზეთი ორისავე ქვეყნის მთავრობას ურჩევს, რომ ამ ორის ერის ურთიერთობის გამამწვავებელი მიზეზები თავიდგან აიცილეთ, თორემ ორივე განათლებულ სახელმწიფოთა სამარცხვინოდ, ეს უთანხმოება ბრძოლასა და სისხლის-ღვრას გამოიწვევსო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ქ. გენიუს მახლობლად, დაბა ონეგლიაში შემდეგი თავზარ-დამცემი ამბავი მოხდა თურმე. ორს გასათხოვარს ქალს (ერთს 18 წლისას და მეორეს 20 წლისას) ერთი ყმაწვილი კაცი უყვარდათ. მეტოქეებმა ერთმანეთი დუელში გამოიწვიეს, იმ პირობით, რომ გალესილის დანებით ებრძოლნათ. დუელი დაიწყეს და რამდენისამე წამის შემდეგ უფროსი მეტოქე გულ-განპობილი გაიშხლართა მიწაზედ. მეორემ რომ დაინახა ეს ამბავი, თვითონაც ყელი გამოიღადრა.

**

უბანგის მცხოვრებლები კაცის მჭამლები არიან და საქონლის ხორცი ჭირივით ეჯავრებათ. მადის დასაკმაყოფილებლად მთელი ბრბო ჰყავთ მონებისა, ყველა წლოვანებისა და სქესისა. ამას წინად, ერთმა ფრანგების მისიონერმა, ალლერმა, ამ კაცის მჭამლებს 74 ყმაწვილი მოსტაცა, რომელნიც „Lion“-ის გემით მისიასთან დაარსებულს ობლების თავშესაფარში გაგზავნა. ტყვეებს საკლავი საქონელისავით მოედანზედ გამოჰრეკავენ ხოლმე და როგორც საქონელს ისე ყიდულობენ. თუ ვინიცობაა მთელი კაცი არ უნდა საყიდლად, მაშინ მყიდველი რომელსამე ნაწილს ამოირჩევს ან ხელს, ან ფეხს და სხ. გამყიდველი ცარცით შემოჰხაზავს ხოლმე ნაჩვენებს ნაწილს და თუ მთელის კაცის ტანი ამ გვარი ხაზებით აივსება, თავს აგდებინებენ და იქვე სჭრიან ნაწილ-ნაწილად. ადამიანის ხორცს მარილსა და პილპილს აყრიან და ისე სჭამენ უმად.

**

ინგლისის პარლამენტის წევრს გიტონს „Nev Kevien“-ში ჩამოთვლილი აქვს, სასტატისტიკო ცნობები ევროპაში ქორწინების გაუქმების შესახებ. ინგლისში 557 ქორწინებაში ერთი ქორწილი უქმდება, რუსეთში—450-ში, შოტლანდიას—331-ში, ავსტრიას 184-ში, ბელგიას 169-ში, უნგრეთს—145-ში, შვეციას—134-ში, ჰოლანდიას—132-ში საფრანგეთს—62-ში, დანიას—36-ში, იტალიას სასამართლოს გარდაწყვეტილებით 421 ჯვარ-დაწერილთ შორის ერთი ქორწილის გაუქმება მომხდარა.

ევროპის ქალაქებში ყველაზედ ხშირად ქორწინება ბერლინში უქმდება. აქ 17 ქორწინებაში ერთი აუცილებლად უქმდება. ვენაში—43-ში—პარიზში 13-ში—1. მაგრამ ამ საქმეში უპ. რატესობა ისევ ტოლლანდის საგრაფოს (შეერთებულ შტატებშია) უნდა მიეცეს. ამ საგრაფოში ყოველ შვიდს ქორწინებაში ერთი უქმდება.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

მე სრულიადაც არ ვეკუთვნი იმ პირთ, რომელთაც უკიდურესი თავ-მოყვარეობა უხშობს სამართლიანობის და მართებულობის გრძნობას: მე ყოველთვის დიდის მადლობით მოვისმენ ხოლმე ყოველს სამართლიანს შენიშვნას პირუთვნელი კრიტიკისაგან წარმოთქმულს ჩემის შრომის შესახებ. მაგრამ თუ კრიტიკა პირუთვნელ მსჯავრის დადების მაგიერ ივიწყებს თავისს მოვალეობას და ეხება ავტორის პირადობას,—ცილსა სწამებს მას, მაშინ-კი ნურას უკაცრავად,—მაგისთვის მადლობას ვერ მოვახსენებთ.

ახლად გამომცხვარ კრიტიკოსს ბ. კოტას მოსჩვენებია, ვითომ ჩემის მოთხრობის „ვისი ბრალია“-ს შინაარსი მ თ ლ ა დ ე რ თ ი ა ნ ა დ (?) განსვენებულის ნინოშვილის მოთხრობებიდგან მესესხოს. მე არავითარს ყურადღებას არ მივაქცევდი იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილს, რომელიც დაბეჭდილი იყო „ივერია“-ში მეტირალა სათაურით: „მოამბის მორალისტები“, და რომელიც, უეჭველია, ბ-ნ კიტას უმაღლესი კრიტიკის ნიმუშად მიაჩნია, რომ ერთი გარემოება არ იყოს: ადვილი შესაძლებელია, იმათ, ვისაც არც ჩემი მოთხრობა წაუკითხავს და არც განსვენებულის ნინოშვილისა, ახლად მოვლენილის კრიტიკოსის შენიშვნას რაიმე მნიშვნელობა მისცენ. ვარწმუნებ ბ-ნს კიტას, რომ იმ დროს, როცა ზემოხსენებული მოთხრობის აზრი დამებადა, მე ნინოშვილის „სიმონა“ და „ქრისტინე“ წაკითხული არ მქონია. ერთობ გაკვირვებული ვარ ამ აჩქარებულის დასკვნით; ნუ თუ გამჭრიახს კრიტიკოსს არ ესმის, რომ მალიან შესაძლებელია ორმა მწერალმა, რომელნიც ერთსა და იმავე პირობებში სცხოვრობენ ერთი და იგივე სიუჟეტი აიღონ თავიანთ მოთხრობისათვის, და იმავე დროს სრულიად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თავისებურად შეიმუშაონ? ჩემი ამბავი ნამდვილი ამბავია, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად მოხდა ჩვენში და რომელზედაც აგაგე ჩემი მოთხრობა.

მე სრულიად ვერ გამიგია, რად დასჭირდა ბ-ნს კიტას ჩემს მოთხრობაზედ ლაპარაკის ჩამოგდება? ნუ თუ მხოლოდ იმისთვის, რომ შიგ რაღაც მორალური ტენდენცია გამოეჩხრიკა და ბოლოს, თითქოს ის იყოს სენტ-ბევი ან ბელინსკი, უაპელიაციო კილოთი ეუწყებინა მკითხველებისათვის, რომ დიმ. ერისთავმა ლიტერატურული ქურდობა ჩაიდინაო? ერთის სიტყვითაც არ შეეხება ის იმას, რაც შეადგენს ნამდვილს კრიტიკის მოვალეობას, ე. ი. თვით მოთხრობის ღირსებას და ნაკლულევანებას ხელოვნების მხრით. ნუ თუ ამას კრიტიკა ჰქვიან და ნუ თუ ბ-ნს კიტას ჰგონია, რომ ამ გვარის ლიტონ სიტყვების რახა-რუხით რაიმე გავლენას იქონიებს მკითხველის აზროვნებაზედ? არა მგონია.

დასასრულ ვურჩევ ახლად მოვლენილ კრიტიკოსს უფრო ფაქიზად და ფრთხილად მოექცეს, მომავალში მაინც, ავტორთ პირადობას და უფრო მომეტებულის ცოდნით აღიჭურვოს, თუ მართლა სურს ნამდვილი კრიტიკოსობა გაუწიოს ჩვენს მწერლობას და არა მარტო ცარიელ-სიტყვაობა.

დიმ. ერისთავი

1894 წ.

20 სექტემბერი

---

**პეტერბურგის ბირჟა, 23 აგვისტო.**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7,_{46}$ | $7,_{49}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $149^{1}/_{4}$ | $149^{3}/_{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $237^{3}/_{4}$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 218 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — , | — ,, | $191^{1}/_{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | $101^{1}/_{4}$ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | 100 | — , | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | $101^{1}/_{4}$ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 99 ,, | — ,, |


# განცხადებანი

С.-ПЕТЕРБУРГСКОЙ ТЕХНО-ХИМИЧЕСКОЙ ЛАБОРАТОРИИ

დუხი „საფო“
დუხი „ნევას „კაპრიზი“
დუხი „თეთრი მიუსკი“
ძალიან გამძლე და სასიამოვნო.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(18—4—1)

**სომეხთა სასულიერო ნერსესიანის სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში** 12 დეკემბერს ამ წლისას, საღამოს 8 საათზედ მოხდება ვაჭრობა **იჯარით გასაცემად სემინარიის სახლის ქვეითა სართულისა**, ოთხის განყოფილებით, ტფილისის მესამე ნაწილში, იარმუკის ახლო, ბარონის და ფოსტის ქუჩის კუთხეში, სადაც გალუმოვის მაღაზიაა. ამ მამულს შემოსავალი აქვს 1100 მანეთი. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმე დღისა, დილის 10 საათიდგან შუადღემდე. (3—1739—1)

კბილის ექიმი

**ვ. ი. ჩიჩინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—6)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^{1}/_{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

მ. ი. ფრანცუსი, 7—$7^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

ბახვის სკოლის შენობის იჯარით გაცემის ვაჭრობა დანიშნულია 1 ოქტომბერს ამა წლისა სოფ. ბახვს ოზურგეთის მაზრაში. ვაჭრობა დაიწყება 5,500 მანეთიდგან ძველი შენობის ზედ დამატებით.

მსურველს შეუძლია დაწვრილებითი ანგარიში ბახვის სოფ. სკოლაში შეიტყოს. (4—6—2)

# კავკასიის რკინისგზის მმართველობა

აუწყებს ბ-ნთ ხე-ტყის პატრონთა და ვაჭართ, რომ რკინის გზისათვის 1895 წელს საჭირო იქმნება ხე-ტყე:

ა) გზისათვის ტრავერსები, რომელზედაც რელსები იწყობა.

1) მუხისა . . . . . . . . 100.000 ცალი
„ ვოლგის ნაპირებიდგან მოტანილი, ან აქაური, ფიჭვისა და ნაძვისა . . . . . 200.000 „
2) ძელები (Переводныхъ брусьевъ) მუხისა . 90 მთელად
„ „ ფიჭვისა ანუ ნაძვისა . 120 „
3) ფიცრები ფიჭვისა ანუ ნაძვისა სიგრძით 3—4 საჟენი, სისქით $^{3}/_{4}$" დგან $2^{1}/_{2}$" და სიგანით $5^{1}/_{2}$—6 ვერშოკი 6.400 ცალი
4) ძელი ფიჭვისა ანუ ნაძვისა სიგრძით 4 საჟენი და სისქით 5—6 ვერშოკი . . . . . 700 „
5) ფოსტის ფიცარი, სისქით ბოლოში არა ნაკლებ $1^{1}/_{4}$ ვერშოკისა . . . . . . . 1 800 საჟ.
და 6) რამდენიმე ძელი შემოსაფიცრად და რამდენიმე სხვა და სხვა ზომის კოჭები და სხვა (ფასი უნდა იყოს აღნიშნული კუბიკურ ფუტზე).

ბ) მატარებელთა მმართველობისათვის (служба Тяги).

1) ძელი ნაძვისა ანუ ფიჭვისა დიამეტრით 7—16 ვერშოკამდის (ორთა შუა დიამეტრი 10 ვერშოკზედ ნაკლები არ უნდა იყოს) . . . . . . 160.000 კუბ.ფ.

შენიშვნა. ძელის მაგიერად შეიძლება ფიცრები იყოს, ხოლო შემდეგის ზომისა:
იატაკისა (ПОЛОВЫХЪ) 9"×2"×21 ანუ 28 ფუტი . 60.000 საჟ.
„ 6"×$1^{1}/_{2}$"×21 ფუტი . . . 6.000 „
გვერდისა (бортовыхъ) 6"×$1^{3}/_{4}$"×22 ფუტი . 3.000 ფუტი
„ 6"×$1^{3}/_{4}$"×19 ფუტი . . . 8.000 „
„ 6"×$1^{3}/_{4}$"×17 ფუტი . . . 3.400 „
ასაფენი ფიცრები (обшивочныхъ) 7 $5^{1}/_{2}$-ზედ ვერშოკი და სიგრძით არა ნაკლებ $4^{1}/_{2}$"×1"×21" ანუ 28 ფუტი 140 000 „
ასაფენი 4"×$^{5}/_{8}$"×21 ანუ 28 ფუტი . . . 16.000 „
2) ძელი მუხისა, სიგრძით $10^{1}/_{2}$ ფუტი, დიამეტრით 9 ვერშოკი და მეტიც . . . . . 112.000 კ. ფ.
3) ძელი მუხისა, სიგრძით $19^{1}/_{2}$ დიამეტრით 5 ვერშოკი და მეტიც . . . . . . . 16.000 „ „
4) კოჭები მუხისა, სიგრძით 10 ფუტი 4 დიუმი გული (сѣченіемъ) $12^{5}/_{8}$"$4^{1}/_{2}$"-ზედ. . . . . 7.000 „ „

შენიშვნა. ეს კოჭები შეიძლება $12^{5}/_{8}$" 9 დიუიმზე, მაშინ საჭირო იქმნება 3.500 ცალი.

5) მურყანის (თხემლის) კოჭები, გულით არა ნაკლებ სამის არშინისა. . . . . . . . 80.000 კ. ფ.
ძელი ცაცხვისა დიამეტრით არა ნაკლებ 10 ვერშ. სიგრძით არა ნაკლებ სამის არშინისა . . . . 2.000 „ „
ძელი ძელქვისა დიამეტრით არა ნაკლებ 8 ვერშოკისა, სიგრძით არა ნაკლებ 9 არშინისა. . . . 1.000 „ „

გ) ტელეგრაფისათვის.

1) ბოძები ფიჭვისა ანუ ნაძვისა, სიგრძით 4 საჟენი ბოლოში დიამეტრი უნდა ჰქონდეს 6—$6^{1}/_{2}$ ვერშოკი, წვერში 3 ვერშოკი. . . . . . . 450 ცალი
2) ნალი (надставка) მუხისა, სიგრძით 5 არშინი, ზემოდ დიამეტრი უნდა იყოს 3—$3^{1}/_{2}$ ვერშოკი ბოლოკი 4—$4^{1}/_{2}$ ვერშოკი. . . . . . 960 „
3) ნალი მუხისა, სიგრძით 7 არშინი, წვერში დიამეტრი 3—$3^{1}/_{2}$ ვერშოკი, ბოლოში-კი 4—$4^{1}/_{2}$ ვერშოკი . 510 „

შენიშვნა. ბოძების და ნალების რიცხვიდგან 450 ბოძი, სიგრძით 60—5 არშინამდის და ტელეგრაფისათვის ნალი, სიგრძით 60—7, უნდა ჩაბარებულ იქმნას 1895 წლის 1 აპრილამდე.

ვისაც ჰსურს იჯარით აღება ყველა ზემოდ ჩამოთვლილ მასალისა, ან ნაწილ-ნაწილად, უნდა რკინის გზის უფროსის კანცელარიაში გამოგზავნონ თავისი განცხადებანი: გზის მასალისათვის განცხადება უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 20 ოქტომბრის დილის 12 საათისა. ტელეგრაფისა და მატარებელთა მმართველობისათვის 25 ოქტომბრის 12 საათისათვის, ან არა და განცხადება შეუძლიანთ პირადად გადასცენ საზოგადოების კრებას, რომელიც იმავ რიცხვებში, პირველ საათზედ იქნება. განცხადება უნდა დაბეჭდილ კონვერტში იყოს, ზედ წარწერით „კავკასიის რკინის გზის საკრებულოს ქალაქ ტფილისში, განცხადება ამა თუ იმ მასალის წარმომადგენელისა“ (Въ общее Присутствіе Управленія Закавказской Желѣзной дороги въ г. Тифлисѣ. Заявленіе на поставку такихъ то матеріаловъ).

განცხადებებში დაწვრილებით უნდა მოხსენებული იყოს ფასი, რაოდენობა, ადგილი და ვადა მასალის წარმოდგენისა, წოდება ან ხარისხი, სახელი, მამის სახელი და ადრესი გამომცხადებელისა. ვისაც ჰსურს იჯარით აიღოს ამ მასალის მოტანა უნდა წარმოადგინონ, რკინის გზის სამმართველოში (ზემოხსენებულის ადრესით) გირაოდ 10% იმ ფასისა, როგორც თვითონ მსურველი დააფასებს მასალასა თვისს განცხადებაში, ამასთანავე ის კვიტანციები, რომელიც გირავნობაში მიეცემა ფულის წარმომადგენელს და ფოსტის ნამდვილი ბარათი განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ.

მას შემდეგ, როდესაც საზოგადო საკრებულო განიხილავს ყველა განცხადებებს, იმათ, ვისაც იჯარა არ ერგოთ, შემოტანილი ფული უკანვე დაუბრუნდებათ. დანარჩენთ-კი პირობის დაწერის დროს შემოტანილი ფული გირაოდ ჩაეთვლებათ.

გზის მმართველობის კასსა, გირაოების შესატანად ყოველ დღე ღიაა ხოლმე დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

ერთი მესამედი საჭირო მასალისა უნდა ჩაჰბარდეს რკინის გზის მმართველობას არა უგვიანეს პირველ მაისისა, მეორე მესამედი—არა უგვიანეს პირველი მკათათვისა და დანარჩენი არა უგვიანეს პირველი სექტემბრისა 1895 წლ.

რკინის გზის მმართველობას ნება აქვს მსურველებთა შორის ის ამოარჩიოს, ვინც თითონ უნდა. ამასთანავე მხედველობაში დაბალი ფასები არ ექმნება-

რკინის გზის მართველობის საზოგადო საკრებულოს გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს სახელმწიფო რკინის გზათა მმართველობამ.

დაწვრილებითი პირობანი და აგრეთვე განცხადების ფორმები მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე მასალისათვის დაარსებულ კანტორაში (ტფილისი, მიხეილის ქუჩა, სახლი ემინოვისა) მოიკითხოს დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, გარდა კვირაუქმე დღეების.

გარეშე ქალაქების იჯარადრებს შეუძლიანთ დეპეშით დაიბარონ ფორმები განცხადებისათვის, მხოლოდ ადრესი უნდა მოიწერონ და აგრეთვი დაწვრილებითი პირობები, რომელ მასალის იჯარით აღება ჰსურთ.

შენიშვნა 1. შპალების შესახებ განცხადება 3.000 ცალზე ნაკლები არ შეიძლება, მხოლოდ დახერხილ მასალაზე—არა ნაკლებ 29.000 კუბიკ. ფუტისა.

შენიშვნა II. თუ იმპერიის შიდა გუბერნიებიდგან უნდათ გამოგზავნონ მასალა, ნება აქვთ, მარტო ნაძვის ხე-ტყე გამოგზავნონ. ფიჭვი-კი უთუოდ ამიერ-კავკასიის ტყეებიდგან უნდა გამოზიდონ.

3—6.—2)


Дозволено цензурою Тифлисъ, 24-го Сентярбя 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.